

ქვიშაქვები, ქვიშაქვების კლასიფიკაცია და ძირითადი ტიპების აღწერა

ნინო კობახიძე

Ninokobakhidze88@gmail.com

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი, პოლიტეკნოლოგიის ქ. 31

ქვიშაქვა კლასტური დანალექი ქანია, რომელიც ძირითადად შედგება ქვიშის ზომის (0.0625 დან 2 მმ-მდე) მინერალებისგან და ქანის ფრაგმენტებისგან. ქვიშაქვა ძალიან გავრცელებული დანალექი ქანია და მათ დაახლოებით 10-20%-ს წარმოადგენს, ხოლო დანალექი ქანები გავრცელების მიხედვით დედამიწის ზედაპირზე ქანთა ყველაზე მთავარი ჯგუფია.

ქვიშაქვების უმეტესობა წარმოდგენილია კვარცის ან მინდვრის შპატებისგან, რადგან ორივე მათგანი მტკიცე მინერალია გამოფიტვის პროცესების მიმართ. ქვიშაქვა, ისევე როგორც შეუცემენტებელი ქვიშა, შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, რაც დამოკიდებულია მინერალურ შედგენილობაზე, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ფერებია ყავისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, წითელი, თეთრი და შავი. ქვიშაქვების შრეებითაა აგებული სხვადასხვა ტოპოგრაფიული წარმონაქმნები, კონკრეტული ფერის ქვიშაქვა შესაძლოა მიუთითებდეს განსაზღვრულ რეგიონს.

ქვიშაქვების კლასიფიკაცია ეფუძნება სამი მთავარი კომპონენტის პროცენტულ შემადგენლობას: კვარცი, ფელდშპატი და ლითოკლასტები. კვარცისა და მინდვრის შპატების გარდა, აქ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქარსები(მუსკოვიტი, ბიოტიტი), გლაუკონიტი, რქატყუარა, ქანის ფრაგმენტები და სხვ. შესაბამისად ქვიშაქვების სახელწოდებაც შედგენილობაზეა დამოკიდებული.

ქვიშაქვებით წარმოდგენილი ქანთა კომპლექსები ჩვეულებრივ წყლისა და სხვა ფლუიდების ფილტრაციის უნარით ხასიათდებიან და საკმაოდ პოროვანები არიან, რის გამოც ისინი როგორც ნავთობის, ისე წყლის საუკეთესო რეზერვუარებს წარმოადგენენ.

ქვიშაქვების მინერალოგიური შედგენილობა ასახავს მკვებავი სუბსტრატის შედგენილობას, ტექტონიკას, გამოფიტვას, ტრანსპორტირებასა და დიაგენეტურ პროცესებს. შესაბამისად ქვიშაქვების სტრუქტურის შემადგენელი მინერალების შესწავლა გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას მკვებავი სუბსტრატის შედგენილობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე მათი კვლევა არის მთავარი გასაღები მკვებავი წყაროს (გადარეცხვის წყარო) დადგენისათვის.

გეოლოგიური თვალსაზრისით ქვიშაქვები ყველაზე ინფორმაციული დანალექი ქანებია და ამიტომაც მათ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.